

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი“

მაგისტრატურის დებულება

თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ - ს (შემდგომში შპს „გთუნი“) მაგისტრატურის დებულება (შემდგომში დებულება), განსაზღვრავს გთუნი-ს მაგისტრატურის მიზნებს, მაგისტრატურაში ჩარიცხვის პირობებს; არეგულირებს სასწავლო პროცესის წარმართვასა და მისი სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს;
- 1.2. მაგისტრატურა – არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- 1.3. სამაგისტრო პროგრამით სწავლების მანძილზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 120 კრედიტი, სასწავლო წლის მანძილზე- საშუალოდ 60 კრედიტი. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
- 1.4. სწავლება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ:
 - სტუდენტს მოუწია კურსის/კურსების ხელახლა გავლა;
 - დადგენილ დროში ვერ მოახერხა 120 კრედიტის დაგროვება.
- 1.5. უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის მაქსიმალური ვადაა 4 წელი აღნიშნულ პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
- 1.6. სამაგისტრო პროგრამები იქმნება ფაკულტეტებზე, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებული სპეციალობების შესაბამისად.
- 1.7. მაგისტრატურის კურსდამთავრებულს კრედიტების დადგენილი რაოდენობის ათვისების შემდეგ, ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა დიპლომი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დიპლომი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომელსაც აქვს მაიდენტიფიცირებელი მაჩვენებლები, მასში ჩანაწერები სრულდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიპლომთან ერთად გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“;
- 1.8. მაგისტრატურის საქმიანობა წარმართება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნორმატიული აქტებით, გთუნი-ის შინაგანაწესით, ფაკულტეტების დებულებებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით.
- 1.9. საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის რეგულირებადი, წესრიგდება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 2. მაგისტრატურის მიზნები

- 2.1. მაგისტრატურის ძირითადი მიზნებია:
 - ა. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;
 - ბ. მაგისტრანტების მომზადება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის;
 - გ. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული სპეციალობის შეცვლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.
- 2.2. მაგისტრატურამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც:

- ა. დაეუფლება სიღრმისეულ და სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, სპეციალობის შესაბამის კომპეტენციებს და მზად იქნება დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური პროფესიული საქმიანობისათვის;
- ბ. იქნება კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე;
- გ. შეძლებს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას.

მუხლი 3. მაგისტრატურაში მიღების წესი

- 3.1. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 3.2. მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე. სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან:
 - ა. საერთო სამაგისტრო გამოცდა;
 - ბ. გთუნი-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები.
- 3.3. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის წარმატებით ჩაბარების შემდეგ გამოვლინდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში;
- 3.4. საგამოცდო საკითხები და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;
- 3.5. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და გთუნი-ს გამოცდის/გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში;
- 3.6. გთუნი-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს გთუნი-ში, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
- 3.7. მაგისტრატურაში ჩარიცხვისა და გთუნი-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის რექტორის ბრძანებით იქმნება მიმღები კომისია და საგნობრივი კომისია.

მუხლი 4. მიმღები კომისია და საგნობრივი კომისია მიმღები კომისია

- 4.1. მიმღები კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს გთუნი-ს რექტორი.
- 4.2. მიმღები კომისია კონკურსში მონაწილეობისათვის იღებს მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთა საბუთებს;
- 4.3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა მიმღებ კომისიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა. განცხადება გთუნი-ს რექტორის სახელზე;
 - ბ. ფერადი ფოტოსურათი (3x4) ამობეჭდილი (4 ცალი) და ელექტრონული ვერსია CD-ზე;

- გ. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ასლი დედანთან ერთად;
- დ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი დედანთან ერთად;
- ე. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვ. ვაჟებმა წვევამდელის სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი ასლი;
- ზ. გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;
- თ. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ი. დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში საბუთები არ მიიღება. თუ საბუთები წესრიგშია, დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ხოლო მაგისტრანტობის კანდიდატის საბუთები ბარდება მიმღები კომისიის მდივანს.

4.4. საგნობრივი საგამოცდო კომისია:

- 4.5. თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის/გამოცდების ჩასატარებლად იქმნება საგნობრივი საგამოცდო კომისია, არანაკლებ სამი წევრისაგან; საგნობრივი საგამოცდო კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი/მონათესავე დარგის გოთუნი-ს პროფესორების/ასოცირებული პროფესორებისაგან.
- 4.6. კომისია უზრუნველყოფს მისაღები გამოცდის/გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებას.
- 4.7. საგნობრივი საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს მიმღები კომისიის თავმჯდომარე.
- 4.8. საგნობრივ საგამოცდო კომისიას თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მის მიერ დასახელებული კომისიის წევრი.
- 4.9. საგნობრივი საგამოცდო კომისია გადაწყვეტილებას მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასების შესახებ იღებს დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.
- 4.10. მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, რომლებმაც დააკმაყოფილეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკონკურსო მოთხოვნები, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. საპრეტენზიო საბჭო

- 5.1. უნივერსიტეტის მიმღები კომისია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების ჩატარების ვადამდე არაუგვიანეს 1 კვირისა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესორებისაგან და ასოცირებული და პროფესორებისაგან ქმნის სამკაცრიან საპრეტენზიო საბჭოს.
- 5.2. საპრეტენზიო საბჭო თავის სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით.
- 5.3. საპრეტენზიო საბჭო განიხილავს საჩივრებს მხოლოდ საგნობრივ გამოცდებთან დაკავშირებით.
- 5.4. პრეტენზიები მიიღება შედეგების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 4 დღის ვადაში;
- 5.5. პრეტენზიების განხილვის დღე ინიშნება საპრეტენზიო განაცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. მაგისტრატურაში ჩარიცხვა

- 6.1. საგამოცდო და სააპელაციო პროცედურების დასრულების შემდეგ, საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე უნივერსიტეტის მიმღები კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს მაგისტრატურაში ჩასარიცხ კანდიდატთა სიას.
- 6.2. მიმღები კომისია განიხილავს და ამტკიცებს საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებას მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის თაობაზე.
- 6.3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- 6.4. გთუნი-ში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირობის თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. გთუნი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესის შესაბამისად.
- 6.5. უნივერსიტეტის რექტორი მიმღები კომისიის ოქმის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის შესახებ.
- 6.6. მაგისტრანტობის კანდიდატი მაგისტრატურაში ჩარიცხულად ითვლება რექტორის ბრძანების ძალაში შესვლიდან.

მუხლი 7. სტუდენტთა მობილობა

- 7.1. სხვა სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლის, ისევე როგორც შიდა მობილობის პროცესს არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა და გთუნი-ს „მობილობის დებულება“.
- 7.2. სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა ან პირიქით უნივერსიტეტიდან სხვა სასწავლებელში გადასვლა უნდა განხორციელდეს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. ამისათვის აუცილებელია უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიები დაფიქსირებულ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 8. სამაგისტრო პროგრამების კოორდინაცია

- 8.1. სამაგისტრო პროგრამების საერთო კოორდინაციას და ხელმძღვანელობას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც:
 - ა. ამზადებს წინადადებებს ცალკეული სამაგისტრო პროგრამისათვის მისაღები კონტიგენტის და საერთო სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტის შესახებ ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად;
 - ბ. ამზადებს წინადადებებს მაგისტრატურაში მაგისტრანტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის ან მობილობის წესით გადმოყვანის შესახებ;
 - გ. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას;
 - დ. ახდენს მაგისტრატურაში სასწავლო პროცესისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მუშაობის მონიტორინგს;

ე. ორგანიზებას უწევს მაგისტრანტების შუალედურ შემოწმებებს, დასკვნით გამოცდებს, პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვას.

ვ. ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8.2. სტუდენტის პირადი საქმე უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- მიმღებ კომისიაში წარდგენილი დოკუმენტები (მუხლი 4)
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება (ამონაწერი);
- ხელშეკრულება;
- პირადი ბარათი (CV);
- სასწავლო ბარათი (აკადემიური ცნობა სხვა უმაღლესიდან გადმოსვლის შემთხვევაში);
- ბრძანებების ამონაწერი (თუ არ ჩანს სასწავლო ბარათში) სწავლების პერიოდში;
- დიპლომის და დიპლომის დანართის ასლები;
- ამონაწერი ბრძანებიდან კვალიფიკაციის მინიჭებისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- პირად საქმეში არსებული დოკუმენტების ჩამონათვალი;
- ასევე ნებისმიერ აქტს რომელიც მიღებულია მის შესახებ.

მუხლი 9. კათედრა

9.1. სამაგისტრო პროგრამების რეალიზების პროცესში კათედრა შეიმუშავებს თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებსა და კვლევებზე დაფუძნებულ სამაგისტრო პროგრამებს.

9.2. შეიმუშავებს მეთოდურ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების, სწავლის შედეგების მიღწევის, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, შეფასების სრულყოფის შესახებ.

9.3. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს მაგისტრანტების მიერ არჩეულ ხელმძღვანელებს და მასთან შეთანხმებულ სამაგისტრო ნაშრომის თემებს.

9.4. უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას.

9.5. უქმნის მაგისტრანტებს სასწავლო და კვლევითი მუშაობის პირობებს.

9.6. დეკანთან ერთად შეარჩევს პროფესიული პრაქტიკის ობიექტს

9.7. ასრულებს ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოვალეობებს.

მუხლი 10. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

10.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების (რეკომენდაციების) გათვალისწინებით ახორციელებს პროგრამის განახლებას, სრულყოფას, შეცვლას;

10.2. აუცილებლობის შემთხვევაში სვამს საკითხს პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

10.3. ასრულებს ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 11. მაგისტრანტის უფლება-მოვალეობები

11.1. მაგისტრანტს უფლება აქვს:

ა. აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი;

ბ. ისარგებლოს უნივერსიტეტის სასწავლო-მატერიალური ბაზით;

გ. განსაკუთრებულ შემთხვევებში დასვას საკითხი სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ და გონივრულ ვადებში მიიღოს პასუხი;

დ. კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში;

ე. მიიღოს მონაწილეობა ფაკულტეტის/უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში.
ვ. ისარგებლოს მობილობით.

11.2. მაგისტრანტი ვალდებულია

- ა. განუხრელად იცავდეს გთუნი-ს შინაგანაწესს, სტუდენტის ეთიკის კოდექსს და უნივერსიტეტში მოქმედ სხვა წესებს;
- ბ. დროულად ასრულებდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს;
- გ. პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს ხელმძღვანელის რჩევებსა და მითითებებს;
- დ. დადგენილ ვადაში წარადგინოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

მუხლი 12. მაგისტრატურაში სასწავლო პროცესის ორგანიზება

- 12.1. მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემით (ECTS) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკრედიტებული და/ან ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- 12.2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებას;
- 12.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებამდე;
- 12.4. გთუნი-ში დისციპლინების კოდი განისაზღვრება მათთვის მინიჭებული ჯგუფისა და დონის შესაბამისად.

კურსების ჯგუფებია:

- ა. Compulsory - სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფი;
- ბ. Elective - არჩევითი სასწავლო კურსების ჯგუფი.

კურსების დონეებია:

- ა. Intermediate – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
- ბ. Advanced - მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად).
- გ. Specialized –სპეციალიზებული კურსი სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის)

12.5. სასწავლო კურსების კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის ჯგუფისა და დონის ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები. მაგალითად, კოდი CI5 ნიშნავს სავალდებულო (Compulsory), საშუალო დონის (Intermediate) 5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის და/ან სასწავლო მოდულის არჩევის გამჭვირვალობა.

13.1. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს არჩევითი სასწავლო კურსებით შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

- სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან არჩევის თავისუფლება;
- მაგისტრანტის პირადი მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში ტუტორების ჩართვა.

13.2. მაგისტრანტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს ტუტორის დახმარებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას მაგისტრანტი სრულად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს, რომლებიც ჩამოთვლილია არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის წინაპირობაში. სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით მაგისტრანტს შეუძლია როგორც სასწავლო კურსების, ასევე კურსების წამყვან პროფესორ-მასწავლებლების არჩევა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კრედიტების რაოდენობა წელიწადში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი (არა უმეტეს 75-ისა).

13.3. სასწავლო გეგმის ფორმირებისათვის მაგისტრანტი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე, დადგენილი წესით ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.

13.4. მაგისტრანტების აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:

ა. მაგისტრანტი სემესტრების სასწავლო გეგმის ფორმირებას ახდენს სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა;

ბ. სასწავლო კურსების (მოდულების) და პროფესორ/მასწავლებლის არჩევის პროცესში ფაკულტეტი განსაზღვრას:

- სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა აკადემიური რეგისტრაციის შემდეგ ხდება სასწავლო კურსის/მოდულის სწავლება;
- სასწავლო კურსის წამყვან ერთ პროფესორ/მასწავლებელთან დასაშვებ მაგისტრანტთა რაოდენობას.

13.5. ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას მაგისტრანტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ.

13.6. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობა

ა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს საშუალება აქვს გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);

ბ. საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საგანმანათლებლო პროგრამები და კატალოგი);

გ. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირების ფორმებია ვებგვერდი ან სპეციალური რეგისტრაციის ფორმა.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი სწავლის შესაძლებლობა.

14.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების მიხედვით უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების გადაწყვეტილება;

14.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შემდგომი განათლებით;

14.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის განსაზღვრავს შესაბამისობებს არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, მისცემს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობას;

14.4. თუ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა განაპირობებს დამატებითი სემესტრის შექმნის აუცილებლობას, მაშინ სტუდენტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან.

14.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს:

ა. გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში);

ბ. იმ უნივერსიტეტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებთანაც გთუნი-ს გაფორმებული აქვს შეთანხმება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების აღიარების თაობაზე და რომლის შესაბამისადაც განხორციელდება შესაბამის უნივერსიტეტში სტუდენტთა გადაყვანა;

გ. პუნქტების ა-ბ განუხორციელებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა გაუქმებული პროგრამის ყველა სტუდენტის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

14.6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამის გაუქმებამდე ახდენს სტუდენტების ინფორმირებას და დეტალურად აცნობს მათ ინფორმაციას მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.

მუხლი 15. მაგისტრატურის სწავლის შედეგები

15.1. მაგისტრატურის სწავლის შედეგები მოიცავს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრულ შემდეგ 6 კომპონენტს:

- ცოდნა და გაცნობიერება
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დასკვნის უნარი
- კომუნიკაციის უნარი;
- სწავლის უნარი
- ღირებულებები

15.2. მაგისტრატურაში მისაღწევი ცოდნისა და უნარების დონე და ღირებულებები, განისაზღვრება გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამებით და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

მუხლი 16. სწავლის შედეგების შეფასება

16.1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები და მისი შესაბამისობა აკადემიური პროგრამის მიზნებთან;

16.2. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02);

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

16.3. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება;

16.4. უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ცოდნის აკუმულირებისა და სისტემატური შეფასების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია შეფასება:

ა. მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე;

ბ. მხოლოდ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამის საფუძველზე;

16.5. სტუდენტის შეფასების წესი, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია „გთუნი-ს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით“.

მუხლი 17. GPA (Grade Point Average) გამოთვლის წესი

17.1. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე ძირითადად განისაზღვრება სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, დასაშვებია, აგრეთვე, სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვროს აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA);

17.2. ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით: $GPA = \text{სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ქულა} \times 0,04$. GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად.

- 17.3. შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით: GPA (შემაჯამებელი) = \sum (თითოეული სასწავლო კურსის GPA \times შესაბამის კრედიტზე და გაყოფილი ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე).
- 17.4. GPA –ს საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სტუდენტის რეიტინგი და მას მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ადმინისტრაციის მიერ რაიმე სახის შეღავათების ან წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.
- 17.5. GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად. საშუალო აკადემიური შეფასების GPA) 4 ბალიან და შეფასების 100 ქულიანი სისტემას შორის შესაბამისობის დასადგენად შეიძლება ვისარგებლოთ შემდეგი ცხრილით:

GPA-ის ქულა	შეფასება
GPA-ის ქულის 91% და მეტი	„ფრიადი“
GPA-ის ქულის 81% - 90%	„ძალიან კარგი“
GPA-ის ქულის 71% - 80%	„კარგი“
GPA-ის ქულის 61% - 70%	„დამაკმაყოფილებელი“
GPA-ის ქულის 51% - 60%	„საკმარისი“

მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომი

- 18.1. სამაგისტრო პროგრამა დასრულებულად ითვლება თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები, მათ შორის დაიმსახურა დადებითი შეფასება სამაგისტრო ნაშრომში.
- 18.2. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს თეორიული ხასიათის დამოუკიდებელ კვლევით სამუშაოს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის თეორიული ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევები და მათი ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
- 18.3. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მისაღწევი სწავლის შედეგები, ნაშრომის გაფორმების წესი რეგულირდება „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით“, „წერითი ნაშრომების გაფორმების სტანდარტებით“ და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.
- 18.4. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვისა და დადებითი შეფასების მიღების შემდეგ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება უნივერსიტეტში ნაშრომის შენახვის ვადის განმავლობაში გაეცნოს მას და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მოახდინოს მისი რეპროგრაფიული გამრავლება.

მუხლი 19. პროფესიული პრაქტიკა

- 19.1. პროფესიული პრაქტიკა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.

- 19.2. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი მოდულის/კურსის ერთეული შესაბამისი კრედიტით ან როგორც მოდულის შემადგენელი ნაწილი.
- 19.3. პრაქტიკის გავლისა და დაცვის პროცედურა, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პრაქტიკის ანგარიშისა და დღიურის გაფორმების წესი რეგულირდება „პრაქტიკის დებულებით“ და პრაქტიკის სილაბუსით.

მუხლი 20. წარჩინების და ჩვეულებრივი დიპლომის გაცემის წესი

სრული საგანმანათლებლო პროგრამის შემაჯამებელი GPA განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიას, კერძოდ თუ GPA ტოლია ან მეტი 3.55-ის გაიცემა წარჩინების, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივი დიპლომი.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

- 21.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;
- 21.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, როგორც წესითაც იგი მიიღება;
- 21.3. დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
- 21.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.